ცვლილებები ძალაშია 28 იანვარი 2025-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ დოკუმენტში „დამატებით სახელშეკრულებო პირობები“ შევიდეს შემდეგი ცვლილება-დამატებები:

1. დამატებითი სახელშეკრულებო პირობების 9-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 1.5 და 1.6. ქვეპუნქტები:

„1.5. სესხის/კრედიტის მიღებისას და მისი მოქმედების ვადის განმავლობაში სრულად დაიცვას გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა (შემდგომში „ESG" (Environmental, Social and Governance)) და მიიღოს ყველა მაკორექტირებელ ზომა თუ მისი საქმიანობის ფარგლებში ESG კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და/ან დარღვევა გამოვლინდება"

„1.6. ბანკი უფლებამოსილია როგორც სესხის/კრედიტის გაცემამდე, ასევე გაცემის შემდეგ სესხის/კრედიტის მოქმედების ვადის განმავლობაში, საკუთარი შეხედულებით, მრავალჯერადად შეამოწმოს კლიენტის ESG შესაბამისობის ისტორია. შესაბამისად, კლიენტი ვალდებულია ითანამშრომლოს ბანკთან და შემოწმების ფარგლებში მიაწოდოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასევე დაუშვას ბანკის წარმომადგენელი საწარმოოს ადგილას შემოწმების მიზნით.“